



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030416957773218

№ 04-684/თ

06 / ნოემბერი / 2018 წ.

**სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 03 აგვისტოს
№ 04-466/თ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 03 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. „ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ადმინისტრირების მიზნით, ზოგიერთი ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 03 აგვისტოს №04-446/თ ბრძანებაში (შემდგომში - ბრძანება) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N3 დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N7 დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით;

2. დაევალოთ სააგენტოს:

ა) ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ.გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გადაგზავნა.

ბ) დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

განაცხადი ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის შესახებ

განაცხადის შევსების თარიღი

განმცხადებელი:

სახელი: _____ გვარი: _____ პირადი ნომერი

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი: _____

ტელეფონის/მობილური ნომერი: _____ ელექტრონული ფოსტის მისამართი: _____

ერთვის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი: კი არა არ საჭიროებს (გადახდის ქვითრის წარმოდგენა არ არის სავალდებულო თუ პირს სურვილი აქვს გაიაროს მოსამზადებელი კურსი ბავშვის მინდობით აღზრდის მიზნით)

მსურს გავიარო მოსამზადებელი კურსი:

ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირისთვის მინდობით აღზრდის მსურველი პირისთვის

მოსამზადებელი კურსის სახე: ძირითადი დამატებითი (განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვი)

მოსამზადებელი კურსის გავლასთან დაკავშირებით თანახმა ვარ ინფორმაცია/შეტყობინება მივიღო:

მობილური ტელეფონის ზემოთ მითითებულ ნომერზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ზემოთ მითითებულ მისამართზე

მხოლოდ წერილობით, ზემოთ მითითებულ საცხოვრებელ მისამართზე (მონიშნეთ შესაბამისი ველი)

განმცხადებლის ხელმოწერა _____

წინამდებარე განაცხადის შევსებით: _____
განმცხადებლის სახელი და გვარი (გარკვევით)

1. ვადასტურებ, რომ ინფორმირებული ვარ:

- ა) სასწავლო/სატრენინგო პროცესის დაწყებამდე ტრენერს უნდა წარვუდგინო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) სასწავლო/სატრენინგო პროცესის მიმდინარეობისას დავიცვა წესრიგი და შევასრულო ტრენერის მითითებები, რომელიც გამომდინარეობს ტრენინგ მოდულიდან;
- გ) შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით დავადასტურო მოსამზადებელ კურსზე დასწრება;
- დ) გადახდილი საფასური სრულად დამიბრუნდება, თუ წინამდებარე განაცხადის წარდგენამდე, წერილობით უარს განვაცხადებ მომსახურების მიღებაზე ან ამ განაცხადების წარდგენიდან 4 თვის განმავლობაში სააგენტო ვერ უზრუნველყოფს ჩემთვის მოსამზადებელი კურსის ორგანიზებას/ჩატარებას;
- ე) ვთავისუფლდები მოსამზადებელი კურსის გავლის საფასურის გადახდისაგან და გადახდილი საფასური უკან მიბრუნდება, თუ გავლილი მექნება ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირის სრული კურსი (ძირითადი და დამატებითი) და მშვილებლად რეგისტრაციის შესახებ განაცხადში დავაფიქსირებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის შვილად აყვანის სურვილის;
- ვ) საფასური დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წარდგენის („გ“ და „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობების დადგომიდან) 1 თვიანი ვადის შესახებ, რომლის გავლის შემდეგ გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება;
- გ) ხანგრძლივობა ძირითადი მოსამზადებელი კურსისათვის შეადგენს 21 ასტრონომიულ საათს, ხოლო კურსი განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვის შვილად აყვანის, ან მინდობით აღზრდის მსურველი პირებისათვის დამატებით 7 ასტრონომიულ საათს.
- ზ) რომ თუ არ გამოვცხადდები სასწავლო/სატრენინგო პროცესზე ან გამოვცხადდები დაგვიანებით ან სასწავლო/სატრენინგო პროცესს დროზე ადრე დატოვებ, იმ დღეს მოვიხსნები ჯგუფიდან.

2. ინფორმირებული ვარ, რომ მოსამზადებელი კურსის გავლასთან დაკავშირებით უფლება მაქვს:

- ა) მოვითხოვო და მივიღო მომსახურება ტრენინგ მოდულის შესაბამისად;
- ბ) უარი ვთქვა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე;
- გ) მოვითხოვო გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

სოციალური მუშაკი/იურისტი: გვარი _____ სახელი _____ ხელმოწერა _____¹

¹ პირის მიერ შერჩეული მოსამზადებელი კურსის ტიპი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის შვილად აყვანის პირისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის განაცხადში ჩაწერილ მოთხოვნებს სასურველი ბავშვის შესახებ.

მიღება-ჩაბარების აქტი

სატრენინგო მომსახურების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შესახებ

შესრულებული სამუშაოს ადგილი: _____

თარიღი: __/_____/____წ.

წინამდებარე აქტი შედგა მასზედ, რომ ერთი მხრივ ტრენერმა - _____
 (პ/ნ _____) ჩააბარა, ხოლო მეორეს მხრივ სოციალური მომსახურების სააგენტოს
 მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის თანამშრომელმა
 - _____ (პ/ნ _____) მიიღო ტრენერის მიერ
 შესრულებული სამუშაოს (ბავშვის შვილად აყვანის/მინდობით აღზრდის მსურველ
 განხორციელებული სწავლების/ტრენინგის) შესახებ დოკუმენტები ___ ფურცლად.

მიმდინარე წლის _____ თვეში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
 სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N01-75/ნ ბრძანების, „ბავშვის
 შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი
 კურსის ადმინისტრირების მიზნით, ზოგიერთი ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“
 შესაბამისად, ზემოაღნიშნულმა ტრენერმა ჩაატარა ამ ბრძანებით განსაზღვრული
 მოსამზადებელი კურსი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

ჩააბარა:

სახელი/გვარი/

მიიღო:

სახელი/გვარი/